ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6010601

ნომერი: AR1908145

თარიღი : 22.06.2022

გაცემის თარიღი : 29.06.2022

გაცნობის თარიღი : 29.06.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 40;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევანი ოქროპირიძე პ/ნ 35001052365
- რუსთვი, მე-17 მკრ, კორ. 17 ბ. 59

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 26 იანვრის №5772252 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 22

ივნისს №AR1908145 განცხადებით მომართა ლევანი ოქროპირიძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2022 წლის 26 იანვრის №5772252 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის ნაწილში.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2021 წლის 31 დეკემბრის №5750870 ბრძანებით ქ. თბილისში, გორგასალი ქუჩა №40-ში არსებულ, №01.18.09.005.024 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სამსახურის 2021 წლის 27 დეკემბრის №5744411 ბრძანებით შეთანხმებული მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 31 დეკემბრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
სამსახურის 2022 წლის 26 იანვრის №5772252 ბრძანებით ცვლილება შევიდა სამსახურის 2021 წლის 31 დეკემბრის №5750870 ბრძანებაში და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 26 იანვრიდან 2025 წლის 26 იანვრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2022 წლის 26 იანვრის №5772252 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტში და ამავე ბრძანებით შეთანხმებულ კალენდარულ გრაფიკში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, ძირითადი რიგის სამუშაოებში, I ეტაპში დაფიქსირებულია ჩანაწერი: „დ) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე“, თუმცა აღნიშნული სამუშაოების განხორციელება ამავე ბრძანების და კალენდარული გრაფიკის მიხედვით გათვალისწინებულია ძირითადი რიგის სამუშაოების II ეტაპით. შესაბამისად, ითხოვს აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ როგორც სამსახურის 2022 წლის 26 იანვრის №5772252 ბრძანებით შეთანხმებულ, ასევე წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების პროექტის აღწერილობით ნაწილში, ზემოაღნიშნული სამუშაოების (ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე) განხორციელება გათვალისწინებულია ძირითადი რიგის სამუშაოების II ეტაპით. თუმცა ბრძანების საზეზოლუციო ნაწილში და კალენდარულ გრაფიკში არასწორად დაფიქსირდა I ეტაპის სამუშაოებშიც.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა სამსახურის 2022 წლის 26 იანვრის №5772252 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 26 იანვრის №5772252 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-4 პუნქტის მე-4 ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნას შემდეგი ჩანაწერი „დ) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე.“.
2. სამსახურის 2022 წლის 26 იანვრის №5772252 ბრძანებით შეთანხმებული მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 26 იანვრის №5772252 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 26 იანვრის №5772252 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.